

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №32(39)) 27² მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომერციულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ და აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ის სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებას ან მართვისთვის გადაცემას, რასთან დაკავშირებითაც არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი ინტერესი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი